





და გარკვევით კითხულობდა ანბანში დაბეჭდილ სხვა და სხვა ამბებს, ზოგნი ამბებსვე ჩათვლით. მართლად რომ ამათი ნახვა სასიამოვნო და საგონებელი იყო; სკამებში პატარებს ამოეყო პატარა პირები ღიმილით და სიამოვნებდნენ ისინი ჩვენს მისვლას და ჩვენგან იმათ ალერსს. ამავე სახლში მგორეს მხარეს იდგა სტოლარის (მოხარატეს) დაზვა, ახალი გაკეთებული კამოდი და ჯერ დაუსრულებელი სკამები კაკლისა, მღვდელმა ძაქსაძემ გვიანბო თავის მოწაფეთა მახვილ გონიერება და სწავლის ხალისი, ჩემ სიცოცხლეში არ ვარ მნახველი ამ გვარი ბაშეებისაო, წიგნის კითხვას რომ გაათავებენ, დიდრონები ამ ოსტატს შევილიან მუშაობასა და პატარები სულ ხელეშში შესცქერიან ამათ, თუ როგორ ხმარობენ სადღერგლო იარაღსაო.

აქვე მახლობლად მგორეს სახლში შეგვიყვანეს ქალების სასწავლებელ კომლით გამოურულ ოთახში და გვაჩვენეს იმათი ხელ-საქმე და დოსკების მაგიერ ხარის ბეჭვებ დაწერილი მხედრული სიტყვები, ჩვენ მოუწონეთ ამათ ეს სოფლური ხელ საქმე ვგრეთვე ჩვენთან დაწერილი სიტყვები და გამოვეთხოვენით ერთმანეთს მადლობის გარდახდით.

ხოვლიდამ წამოსულნი ცხენებით მოვედით ხიდისთავს, აქაური სასოფლო შკოლა, რადგან გზის პირზედ იყო, ამისთვის მოვიწოდებთ შეგირდების ნახვა და შევედით მცირეს ხანს. ამ ნაღუქარ ქვეთიკრის დიდ-სახლში, ჩვენ ენახეთ აქ ორს გრძელ სკამებზედ ისხდნენ თექვსმეტნი გლეხის შვილები, ამათგანი ზოგნი კითხულობდნენ წიგნებს და ზოგნი იორთქლამდნენ პატარა ხელეშს სიცივით მობუზულები და ჩასცქეროდნენ ანბანს. ამათმა მასწავლებელმა, აქიურმა ერის კაცმა ბატატა-შვილმა თითქმის ბოდიშით გვითხრა, ესლა

ტი გამოცდილი და წიგნის მკოდნე კაცი არა-ეინ ეგულუბოდათ. ზიორგის არ უნდოდა ამ თანამდებობის აღება, რადგანაც იცოდა, რომ ამას ბევრი ვაივავლახი მოაღვედა, იცოდა რომ ბევრჯაგრობას ლანძღავს მიიღებდა, და თავის შვილებს განთავისუფლებაც უნდოდა, თუ მოახერხებდა, მაგრამ მხოლოდ ამ ღონისძიებით: ზიორგემ ბევრი ფიქრის და ტორტმანის შემდეგ ამ ორ უბედურებაში უფრო სუმბუქი ამოირჩია და უთხრა: ოჯახის შვილია, ხომ კარგათ იცით, რომ მე ნაცვლობა მეჯავრება, აგრე ოთხი წლიწადა, რაც უარზე ვდგევარ. ახლა კი დავედები, მაგრამ იმ პირობით, რომ ერთი თხოვნა ამისრულოთ. ჩვენში ხომ ადათია, რომ ნაცვლები სახელმწიფო ხარჯიდგან განთავისუფლებულნი უნდა იყვენ; მე არც ეს მინდა, ისეც იმ ხარჯ ქვეშ ვიქნები, ოღონდ თქვენ ერთი სიკეთე მიყავით და ჩემი ყმაწვილები გამითავისუფლეთ ხარჯიდგან, ეგება სასწავლებელში მივებარო სადმე!

— ეს კი თხოვნა შეგვიკეთა, შენმა მზემ?! შესძახეს ერთიერთმანეთს. შემდეგ ერთმა იმათგანმა სთქვა:

— ზიორგი ეგ საქმე შესაძლებელია, მაგრამ....

— ჰო, რა მაგრამ, აქ ზიორგი მიხედა საქმე რაშიაც მდგომარეობდა და უთხრა: კი თქვენ მოწონებულ სადილს გაგიკეთებთო.

— ახლა კარგი, თუ ღმერთი გწამს, მაგისთვის ხომ არ გითხარით, ზიორგის ბანზე სიტყვა შეუდგეს, მითომ გულშიაც არა ჰქონიათ რა, და დაეთანხმენ. მართი სოფლის სტუმრობა, რასაკვირველია, ხუმრობა არ არის! ამ შემთხვევისათვის ზიორგემ დაკლა ძროხები, ცხვრები და მოხდა ღვინის ქვეყრები. ზიორგის ხალხი ბლომათ ეწვია, შეექცა, სახლი დაუცარიელა და შემდეგ იმის შვილებსაც თავისუფლება მისცა.—

ზიორგემ ყმაწვილები ჯერ ზორის სასწავლებელში მიიბარა და შემდეგ ტფილისის გეგნაში გადიყვანა. ამითი თავე გადასავალი იქნება როდისმე მოგახსნოთ და ესლა კი

ასე ცოტანი ამისთვის არიან, რომ ცეცხლი არ გვინთიოთ და სხვანი სიცივისგამო ვერ დიდნო, შეგირდებმა ანბანი ზოგმა დიდი ხანია გაათავა და ზოგი ეხლა სწავლობს, ძალიან ეხალისებათ სწავლა და წიგნის კითხვაო. ჩვენ ამას მადლობა უთხარით შრომისათვის და შეგირდებს დავეპირდით სხვა და სხვა საკითხვე წიგნებს გაჩუქებთო, ამათ სიცილით დაგვიკრეს თავი და გახარებული შეექნათ ჩურჩული ერთმანეთში.

ასე გავათავეთ ამ შკოლის ნახეც და წამოვედით, მგორეს დღეს გორში. ამ სოფლის სულიამ ივანე ამბროსვილმა გენახა და დიდათ ბოდიში მოიხდა, რომ გუშინ ხიდისთავს გამოველაზედ არ დაგვეწრო პურის მალაზიაც ეჩვენებინა, ქვეთიკრის მალაზია დიდი ხანია ისეც ძველად სოფლისაგანა გვაქვს აშენებულიო, მაგრამ პური კი ეხლა ორმოცეში გვიყრიანო. რადგან მალაზია ისე სახლად გეჭირდება, ხან რკინის გზის სალდათებისთენ, ხან მოსული ჯარისთვის თათოს დღეს რომ დაისვენებენო, სასოფლო ბანკია გვაქვსო, ზოგრიკინის გზის ფულია, ზოგი ჩვენ მიუმატეთ და ზოგი მტრათვის (ჯარიმი) ფულია, ვისაც გადაეხდებიან ამ ფულს მიუმატებთ. სხვათა შორის ლაპარაკში ესეც კი გვიამბო ამ სულიამ ამბროსვილმა, მხიარულადა რომ ხიდისთავიდამ სამი ერის კაცის შვილები ერთი ამისი ძმა, მგორე ამის ამხანაგის სუდიის შექელოვისა და მესამე მქნუსვილის შვილი დღეს ტფილისის სემინარიის მეხუთე კლასში სწავლობენო, ჩემ საცხოვრებელს სოფ ზედ გადაეგებ და ჩემ ძმას ღეთითა და ხელმწიფის წყალობით უმეტეს მალალ სასწავლებელში გავზდი, რომ კაცი გამოვიდეს და თავის გვარი დაამშენოსო.

აი მართლა გლეხნი როგორ განსხვავდნენ,

მხოლოდ ამას ვიტყვი, რომ უმცროსმა შვილმა ზიორგმა ძალიან შეაწუხა. შფროსი თუმცა მეოთხე კლასიდანვე დაითხოვეს, რალაცა მიზნების გამო, მაგრამ ამისთვის ზიორგი სულაც არ შეწუხებულა. მიიბარა ერთ ვაჭარს და ამით გაათავა საქმე. უმცროსმა შვილმა კი გაათავა გიმნაზია და რუსეთისაკენ გასწია. მოხუცების დროს შვილის დაშორებამ ზიორგის გული ძალიან მოსწყვიტა. ახლა ის მისგან ნაღვან-წამაგვეის ნაყოფს მოელოდა და იმან კი აიღო თავი და ვინ იცის სად წავიდა. ზიორგი თანაც ფიქრობდა: იქნება ეს არის სამუდამოთ გამოვესალმე ჩემ შვილსაო, და ეს უფრო უწყლავდა გულსა. რალა კაცი ვარ, თუ ჩემი შვილები სიკედილის დროს აქ არ მეყოლება და ერთათ არ დამიტრებენო. ამ მწუხარებას დამატა უმცროსი ქალის თავე გადასავალიც და ამით კინაღამ ქუაზე არ შეშალა ისეც დარღისაგან გამოპრუებული ზიორგი. თუმცა არც უფროსი ქალი იყო კეთილდღეობაში, მაგრამ ზიორგი ამას მაინც ამბობდა, რომ კანონიერათ ვავთხოვეო, ოჯახის შვილს მივეციო. ეს ქალი ნათლია პავლეს შუამდგომლობით ითხოვა ერთმა ტფილისელმა კალატოზმა. ახლა ზიორგის თავის შვილები ყველანი შემოფანტულნი ჰყვანდნენ, პატარა ქალის მეტი. ეს ახარებდა და ატკობდა ხნინი დედამის მწუხარე ცხოვრებასა, ეს იყო უკანასკნელი მათი ნუგეში. ამასთან ისიც უნდა მოგახსნოთ, რომ ეს ქალი ყოველის მხრით სიკეთით იყო შემკული: სიღამაზე-კალმით ასაწერი, ხასიათი-მშვიდი და შუქუფოთებელი, ქუა-გამჭკრე და ფხიზელი. მართი სიტყვით ეს მთელი სოფლის ქალების თვალნი იყო. ამას ბევრი მითხოვნელო გამოუჩნდა, მაგრამ ზიორგის ჯერ არ ემეტებოდა იმისი სახლიდამ მოშორება და ვერც კაცსა ხედავდა ღირსსა და თავის საკბილოსა. იმის წადილი ის იყო, რომ სამღვდლო კაცისთვის მიეცა. სხვათა შორის ზიორგის ქალისძეც მითხოვნელათ გამოჩნდა ერთი კოხტა-პრუწია ღარიბი აზნაური ი. ძ-შვილი. ზიორ-

გაკვირდნენ, როგორ ზრუნვენ და რას ფიქრობენ მომავლის კეთილ ცხოვრებისათვის, თქვენ კი ამას ნუ ბრძანებთ ერთის ყვავილით ზაფხული არ მოვაო, სადაც ერთი გაიშლება, იქ ერთთან ხუთი და ათიც გარდაიშლებაო, ასეა ნათქვამი ძველად და ეხლა მე რალას ვაგრძელებ ამ მგზავრობას, ზოგი შემდგომ იყოს.

დ. მელიქიძის თეატრის კრიტიკა.  
24 იანვარს 1868 წელსა.

### პოლიტიკა.

#### შრანცია.

შრანციის სენატში იანვრის 15 (27)-სა დაიწყო ბასი ჯარის რეორგანიზაციის პროექტზე ორატორები ლაპარაკის დროს მტრულა და მძულვარეს გრძნობას აცხადებდნენ პრუსიისადმი უფრო გადამეტებით, ვირემც კანონის-მდებელ კრებაში იყო. ორატორების ფიქრით ჯარის ახალი კანონი თავის ჰაზრს სრულათ არ ასრულებს. პირველათ სიტყვა დაიწყო ბარონ ბრენიემ; მაგრამ ისე კანონის პროექტზე არა ლაპარაკობდა, როგორც იმავზე, რომ საქართვება მოითხოვეს შრანციამ ისეც ის პირველი ადგილი დაიკროს მეროპაში, როგორც ადრე ეჭროაო. ამის გამო სთქვა ექვიანობა პრუსიასზე, რომ მალე იქნება თუ გვიან პრუსისა თავის უფლების მოყვარეობას ნებას მისცემს ბერმანიის დაქვრისათვის. ამის გამო ორატორის ჰაზრით შრანციის ჯარი უფრო უნდა გაბეგრდეს. პრუსიის უფლების-მოყვარება იმ საქმეებთა სჩანს, რაც იმას ჩაუდგინა 1815 წლიდგან. ორატორმა დიდის პატივისცემით წარმოსთქვა სიტყვა პრუსიის მინისტრზე ბისმარკზე:

გიმ ამასაც უარი უთხრა, რადგანაც იმისი ავლადიდება კარგათ იცოდა. ძ-შვილმა ეს უარის თქმა, რასაკვირველია, ძალიან იწყინა და გულში დააპირა ქალის მოტაცება, მხოლოდ დროს ეძებდა.—ამან ბევრი ხანი სდია ზიორგის ქალს, მაგრამ ხელში ვერსით ვერ მოიგდო. ამ ხანობაში ეს ქალიც ერთმა სემნარიელმა დანიშნა. ძ-შვილმა სთქვა, ესარის ქალი ხელიდამ წამართვაო, და უფრო მოუხშირა დარაჯობა. იმდენი სდია, რომ ბოლოს ახში მაინც ამის მსხვერპლათ გახდა საწყალი ძეველა.—

ღიღუთშავათი გახლავთ, საღამოზე ქალები წავიდნენ საყდარში თორმეტი თავი სახარების მოსასმენათ. სხვათა შორის იქ იყვნენ ძევეც თავისი დედით. საყდარი სოფლის გარეთ არის და ლოცვაც კარგა გვიან გამოვიდა. ხალხი დაბრუნდა შინსაკენ. ამ დროს ათმა თოფ-იარაღში ჩამსხდარმა ცხენოსანმა ცხენები ჩამოაქროლა. აქ მარიაშმა მაშინვე ელდა ეცა, გულში რალამაც გაუფლავა, მაგრამ ამას ხმის ამოდებაც აღარ დააცალეს. ამოდებული ხმლებით ხალხი შემოიფანტეს და ძევე მარტოკა იგდეს ხელში. როგორც რომ დამწუხეული მგელი ეცეს ცხვარს და ზურგს იგდოს, სწორეთ ისე მხეცურათ ეცა ჩვენი აზნაური და ქალი წინ ცხენის ტახტზე შემოიგდო. აქ დედამ ხელები გასიხვივა, ქალის კაბას მოეკიდა და რალასაც ლულულუდებდა ხმლების ჟღერისაგან ენა ჩავარდნილი, მაგრამ ზურგში და ხელებში ორიოდ ხმლის ყუა უთავაზეს და ხელი ააშევიბნეს, თითონ კი გექანნენ თავიანთი დავლით თავიანთ ბინსკენ.—

სოფლში შეიქნა ერთი ხმაურობა და ღრიანცელა. ზოგს უკვირდა ამისთანა უსეინილი-სობა, ზოგი ნიშნს უგებდა ზიორგის უარის თქმაზე, ზოგიც ვინ იცის, რას არ ამბობდა. მარიამი გულწასული და ენა ჩავარდნილი, დაჟეყილი და ჩაღურჯებული ჩამოიტანეს სახლში ქმრის სატირლათ და თავში საცემათ. საწყალი ზიორგი სიბერის დროს დაიწვა და

„ამ მინისტრმა საქმე ისე წაიყვანა, როგორც იცის კაცმა რომელი გაიკვირებოდა“  
ტატობა, თუ გამბედაობა. ეს მინისტრი ჰზობლავს ხალხსა, აჩვენებს რა პრუსიის გვირგვინსა, როგორც თავისუფლების და ბერმანიის ერთობის ნიშანსა, თუმცა ამ გვარი შეერთება ბოლოს ისე გათავდებდა, რომ ბერმანიის ყველა სახელმწიფოები უნდა დაემორჩილონ პრუსიის სახელმწიფოსა.“ შემდეგ ბრენიემა სთქვა შრანციის დიდებულებას და უშიშროებას არ შეჭფერის, რომ შრანციის მიჯნასთან ცხენები პრუსიის ხელში იყოსო, შრანციის საშუქაროთ. მმართველობამ დაუყოვნებლათ უნდა გამარაგლოს ჯარი. ზნებობით ავტორიტეტი, დამოუკიდებლობა და ხანდისხან ცხოვრებაში სარგებლობა იმათ ეკუთვნის, ვისაც მრავალ-რიცხვიანი მამულის მოყვარე ჯარი ჰყავს (ხმაურობით უწონებენ). ორატორს უნდა, რომ შრანციის ჯარის სახელმწიფოებე ძველის ბრწყინვალეობით გაბრწყინდეს და ამას იქით მეროპაში პოლიტიკური ცვლილება არ მოხდეს შრანციის ნებადაურთველათ. შრანციის ჯარი ისე მრავალრიცხვიანი უნდა იყოს, რომ უფლების მოყვარება შეიყვანოს. ამ ორატორს შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა გენერალმა დე—ლარუმ და შეადარა შრანციის ჯარის წესი პრუსიისს, აქო შრანციის წესი და სთქვა: „შრანციის სალდათს ომში ცალი არცა ჰყოლია და არცა ჰყავს. მეროპის ყველა სახელმწიფოები შურით უყურებენ შრანციის ჯარსა. მაგრამ შრანციის ხალხი ამ უკანასკნელ დროებში ეაქრობასა და აღებმიცებობას გამოეკიდა; ამ თხუთმეტი წლის განმავლობაში შრანციის ხალხს კეთილმდგომარეობა მოემატა, მაგრამ ევაკაცობა ომიანობის ხალხის კი დააკლდა. ახლავადანი სალდათათ ხალხით გა-

დაითუთქა, არ იცოდა რა ექნა, ცოლისთვის ებატრონა თუ წასულიყო და ქალი ეძებნა იდგა ერთ ალაგას გაშეშებული, თითქო გაქვადო და ფეხის გადადგმას და ენის ამოდებას ვერ ახერხებდა.—

რაც მარიამს შეეხება, ის, რასაკვირველია, რომ საკითხავი აღარ არის. ის დამბლათ დაცვა, ქუაზე შეიშალა და ერთი წლის შემდეგ ზიორგის ამაზედაც წვერ-უღვამ მოშეებული და შეეგებში გახეულს ეხედეთ. მარიამი, მართალია, ყოველ უბედურებაში მამაკი იყო, მაგრამ ეს უკანასკნელი სირცხვილი და ოჯახის გაუბატოხნება ველარ მოითინა,—გამოესალმა სოფელსა.—

ახლა ზიორგი მარტოთ მარტოა დარჩენილი, სიბერის დროს ყურის მდებელი და გულის შემატკივარი აღარავინა ჰყავს; ყველანი ნებით თუ უნებლიეთ შემოეცალნენ, დარჩა ოთხკედელშუა გამომწყვდეული. მარტობა და უბედურება კაცს ბევრს აფიქრებინებს და ზიორგიც იმიტომ ფიქრს მიეცა, მაგრამ რა ჰქონდა საფიქრებელი თავის მდგომარეობის მეტი? ის ამას შინჯავდა, დაცქერებით და ამით დარდი უფრო და უფრო უმრავლდებოდა, მისი გულის სევდა უფრო და უფრო ცხელდებოდა. „ღმერთო, ეს რა მამიგია, იძახდა ისა, რა მდგომარეობაში მიმახწვინა ჩემმა ბედმა? შეველა სულდგმული სიბერის დროს განსვენებას და ნუგეშს მოვლის, ამ დროს ყველა სტკებბა თავისი წარსული ცხოვრების ნაყოფით და შემდეგ გავცლება სოფელ მადრიელი, რადგანაც ეს სიბერის განსვენება და სიტკობება ყველა წარსულ ვარამს ავიწყებინებს, მაგრამ მე? მე რა მაქვს სამადრიელო ამ სოფლისა? სიკედილის დროს უფრო უარესათ ჩამწიხლა და დამაღონა, უკანასკნელი დღენიც კი ჩამაშხამა და მომისპო ყოველი სასოება სიხარულზე და ბედნიერებაზე....“

(შემდეგი იქნება).



ლიან, დღემამანი კი ძნელათ იმეტებენ. შემდ-  
 ლებული გლეხები შეილებს უფრო თავიანთ  
 თან ინახენ; აგრეთვე ეპარნი თავიანთ შეი-  
 ლებს აღარ აძლევენ (სენ-სირის) სამხედრო  
 შკოლაში. ამ ქმათ ჯარში აფიცრებათ შე-  
 ღიან უფრო თავდა-ზნაურობა და აფიცრის  
 შეილები. მოლონტრები, რომელნიც ადრე  
 ს. მასხურში შედიოდნენ, ესლა და ცოტადნენ;  
 „ბოლოს სთქვა: რაც უნდა ხალხი შევულო-  
 ანებული იყოს, ბოლოს მაინც გრილდება; ში-  
 შიანობის დროს საწმუნო იარაღი არის კარგა  
 გაწყობილი ჯარი.“

**უ.** რულანმა სთქვა, რომ კანონის პროექტი ნამდვილათ შეფე-  
 რება შრანციის საქართვებას და მოთხოვნი-  
 ლებასა და ამიტომ უყვირს, შრანციის ხალხი  
 ამ კანონის პროექტს გულგრილათ რათ მო-  
 ეპყროვო. სენატს ვალი ადევსო, რომ ხალხს  
 აუხსნას საქმეო. შრანციაში და მეროპაში ხა-  
 ლხი შეშფოთებულია, რადგანაც არ იცის მე-  
 როპის სახელმწიფოები ერთმანერთის საქმეს  
 როგორ გათავებენ. **მ.** რატორმა (როგორც  
 შრანციის ბანკის დირექტორმა), სთქვა, რომ  
 1867 წელს ამ ბანკმა 900 მილიონი ფრან-  
 კით ნაკლებ, ვერემც 1866 წ. რაგრაციები  
 მოუხდენია, მაგრამ ამ ერთი თვის განმავლო-  
 ბაში საქმე უფრო გაკეთდა. მშვიდობის მო-  
 ყვარებითი სურვილი უფრო და უფრო ცხა-  
 დათა სჩნდება. ამ რატორის ფიქრით კა-  
 ნონის პროექტი არ აკმაყოფილებს ჰაზრსა,  
 ამიტომ რომ იმაში ანგარიშით არ ჩაუგდიათ  
 უცარი შემთხვევა; ეს იქილამ გამოჰყავს რა-  
 ტორსა, რაც პროექტშია მოხსენებული რე-  
 ზერების შედგენის წესისა; და მოძრაე ნაცი-  
 ონალურ გვარდის შესახებ იმან ანიშნა, რომ  
 შრანციის მომიჯნე ქვეყნები შეიარაღების  
 დიდს სამზადისში არიან; ყველა მზათა აქე-  
 თო, რომ პირველსავე ბძანებაზე ლაშქრათ  
 გაეიდნენ; ამისთვის უ. რულანის ფიქრით  
 არ შეიძლება პროექტზე დაკმაყოფილება და  
 არ ესმის, თუ ხალხში უსიამოვნება რათ უნ-  
 და გაეღვიძა ამ პროექტსა. **მ.** რატორის ჰაზ-  
 რით ამ უსიამოვნების მიზეზი გაზეთების ჩი-  
 ზინია და რამდენსავე გაზეთებსა კითხულობს  
 დასამტკიცებლათ. შემდგეს იმის სიტყვაში  
 ბევრი არეულ-დარეული და ერთმანერთის  
 წინააღმდეგი ჰაზრებია, ასე რომ თავსა და ბო-  
 ლოს კაცი ვერ გაიგებს.

— იანერის 16 (28) სენატის კრებამ დაამტკი-  
 ცა 125 ხმის კარბობით ერთის ხმის წინააღ-  
 მდეგ. მს წინააღმდეგი ხმა ეკუთვნოდა უ. მი-  
 შელ შევალიეს. შევალზე შესანიშნაეი ამბავი  
 ამ დროს კრებისა სენატში იყო ომიანობრი-  
 ვი სიტყვა, წარმოთქმული ვიცი აღმირალის,  
 გრაფის ბუე-მილიემეციისაგან, რომელმაც  
 სენატში განიღვიდა გადამეტებითი აღტაცება;  
 მაგრამ მიშელ შევალიეს სიტყვა (რომელსაც  
 ქვემოლ მოვიტანთ) კანონის პროექტის წი-  
 ნააღმდეგ ნათქვამი სენატორებმა დიდს ჩუ-  
 მობით მოისმინეს. სამხედრო მინისტრმა რაკი  
 დაიწყო ლაპარაკი მეროპის საქმეების გარე-  
 მოებაზე ხელახლათ პროექტი დაიკვა. **უ.** ბუე-  
 მილიემეცმა წარმოსთქვა, რომ ჯარის ახლ-  
 ანდელის წესით შრანციამ ვერ შეიძლო, რომ  
 1859 წ. იტალიაში ს. ლფერინოსთან 100,000  
 კაცი გამოეყვანა, რადგანაც მოძრაეი ნაცი-  
 ონალური გვარდია მაშინ მარტო ქალაღზე  
 იყო დაწერილი. შრანციის მდგომარეობა სხ-  
 ვა იქნება, რომ 400,000 ნაციონალური გვა-  
 რდიელები ეყოლება და როცა ღონისძიება  
 ექნება, რომ გამოეყვანოს მთელი ჯარი და  
 რეზერვი, ზღვის ძალაც უფრო უნდა გაძლი-  
 ერდესო. **მ.** რატორმა მოკლეთ და ფრცხათ  
 წინააღმდეგი წარმოსთქვა პროექტის მოწინა-  
 ლმდეგეთ ჰაზრებზედ, ბოლოს შრანციის ჯა-  
 რის დიდი ქება სთქვა. სიტყვა რომ გაათავა  
 დიდი ტაშის კვრა ასტეხეს სენატორებმა და  
 როდესაც რატორი ტრიბუნიდგან ჩამოვიდა,  
 რომ თავის ადგილს დაჯდეს, სენატორები მი-  
 ეხვიდნენ და ულოცავდნენ.

იანერის 16 (28) სენატის კრებაში ბუე-მილი-

ლიომეცის შემდეგ სიტყვა წამოსთქვა მიშელ-  
 შევალიემ. იმანა სთქვა, რომ ძნელი საქმე  
 შემხედოა, რადგანაც ის უნდა გაევიცხო, რა-  
 ზედაც სენატორებმა დიდი თანაგრძობა აღ-  
 მოაჩინეს. იმის ჰაზრით შრანცია თუ გარეთ  
 ომიანობას არ აპირებს, ესლანდელი ჯარი სა-  
 კმაოა. შრანცია არ უნდა შიშობდეს ანგლი-  
 ისაგან, სადაც მშვიდობიანობის ხალისზე არი-  
 ან, არც რუსეთისაგან, რადგანაც ძალიან  
 შორს არის, არც პრუსიისაგან, რომელიც  
 თავის შინაურ საქმეშია. აესტრიისა შრანცი-  
 ას სრულებით არ ეფიქრება. აქედამ ის გა-  
 მოდის, რომ შრანციას არა თუ შიშის მიზეზი  
 არა აქვს, პირიქით შეუძლია დამშვიდდეს და  
 უნდა დამშვიდდეს კიდევაც. **უ.** მიშელ-შევა-  
 ლიემ წარმოსთქვა ჰაზრი მმართველობის ორა-  
 ტორების წარმოთქმულ სიტყვებზე; ეს ჰაზრი  
 იმაში მდგომარეობს, რომ შრანციამ დიდი-  
 რიცხვიანი ჯარი უნდა იყოლიოს, რომ იმის-  
 თანა არა მოხდეს რა მეროპაში შრანციის  
 სურვილის წინააღმდეგი, როგორი ამბავიც მო-  
 ახდინა 1866 წ. პრუსიამ. **მ.** რატორი ამ-  
 ტკიცებდა, რომ შრანციას ის როლი არ უნდა  
 ეჭიროს, რაც აქამდის ეჭირა; სულ რაც კი  
 სთქვა მიშელ შევალიემ ამ საგანზე ღირსია,  
 რომ ყურადღება მიექციოთ, უფრო იმიტომ  
 რომ სამხედრო მინისტრმა წინააღმდეგი პასუ-  
 ხი მოუგო და ცდილობდა იმისი ჰაზრები ცუ-  
 დათ გამოეჩინა. მიშელ შევალიემ სთქვა:  
 „ბევრმა წელმა გაიარა, რაც მეროპაში სახელ-  
 მწიფო საქმეები ძირიანათ იცვალა; ეს ცვლი-  
 ლება უფრო ცხდათ აღმოსჩნდა, როდესაც  
 1866 წელს ამბები მოხდა. ამ უეცარმა ამბე-  
 ბმა მთელი შრანცია და იმისი მმართველობა  
 დიდს განკვირებაში ჩაადგო. რაც ბერმანი-  
 აში მოხდა, იმას შემდეგ დაეტყო საქმეებს ცე-  
 ლილება და მეროპის სხვა და სხვა მმართვე-  
 ლობათაგან დატყრილი ადგილი გამოჩნდა. ბერ-  
 მანიის საქმეებს დიდი მნიშვნელობა ჰქონ-  
 და, მაგრამ მხოლოდ იმის თაობაზე, რომ ძვე-  
 ლი დაფარული მდგომარეობა აღმოჩნდა. მა-  
 ნამდისინ კი ჩვენ გვეგონა, რომ შრანცია მე-  
 როპის საქმეების გადამწყვეტელია; ჩემის ჰა-  
 ზრით შრანციამაც და სხვა სახელმწიფოებმაც  
 ხელი უნდა აიღონ იმ ფიქრისაგან, რომ მე-  
 როპაში პირველი როლი დაიჭირონ. დიდ ხანს  
 ჩვენსათ შრანციასაც ეს უფლებების მოყვარე-  
 ბითი სურვილი აწუხებდა, რომ მეროპის  
 საქმეების გადამწყვეტელი ისა ყოფილიყო;  
 მაგრამ ამ თხუთმეტის ოცის წლის განმავლო-  
 ბაში ანგლია დარწმუნდა, რომ ამ გვარი რო-  
 ლისთვის არც იმას და არც არა სხვა სახელ-  
 მწიფოებს წელი არ მოსდევთ. ბერმანიის ამ-  
 ბები ჩემს ჰაზრს უფრო ამტკიცებს. რასაკვირ-  
 ველია ცხადია, რომ ყველა ხალხი, ვისაც თავისი  
 თავის ფასი იცის და მამულის მოყვარე-  
 ბითი გრძობა აქვს, ცდილობს სხვა ხალხებ-  
 ში მოთავთ იყოს. შრანციას დიდხანს ეგო-  
 ნა, რომ ეს მოთავთობა მეროპაში იმას ეკუთ-  
 ვინის. მეთექვსმეტე საუკუნიდგან იწყება ბრ-  
 ძოლა: ანგლია, შრანცია და აესტრიის იმ-  
 პერია ცდილობენ პირველი ადგილი დაიჭი-  
 რონ მეროპაში; მაგრამ რაკი ერთი ამ ადგილს  
 დაიჭერდა, მეორე სახელმწიფოები ცდილობა-  
 დნენ იმ ადგილიდგან გაეცალათ სახელმწი-  
 ფოების მფლობელნი, რომელნიც განაგებ-  
 დნენ თავის ქვეშევრდომებს, როგორც გარე-  
 შუუსაზღვრელი მონარხნი, ერთმანერთთან სა-  
 ქმეში აცხადებდნენ რესპუბლიკურ ჰაზრების  
 თანაგრძობასა და ხალხნიც არას ოდეს არ  
 უშვებდნენ, რომ ერთ სახელმწიფოს, სხვებზე  
 თავი ადგილი დაიჭირა. ისტორია ჩვენ გვას-  
 წავებს, რომ ძარლოს ძარლოს V, ლუდო-  
 ვიკოს XIV და ნაპოლეონს სრული და-  
 მარცხება მოუხდათ, რაკი მთელი მეროპა თო-  
 ფი იარაღით წინ დაუხდდა. მოწყალენო ხელ-  
 მწიფენო, მოისმინეთ ის გაფრთხილება, რო-  
 მელსაც 1866 წლის ამბები გატყობინებენ;  
 მოიქციეთ, როგორც ანგლია ირჯება; წინა-  
 ობა ნუ გინდათ მეროპაში, დათანხმდით იმა-

ზე, რომ მეზობელი ხალხი ყველაფერში თქვენ-  
 თან თანასწორი იყოს და ამ გვარი თქვენი  
 ბრძნული საქციელი მთელს დედამიწაზე ღირსს  
 პატივის ცემას მიიღებს. ამ საქირო საგანზე  
 კიდევ რამდენსავე სიტყვას წარმოვსთქვამ: იყო  
 დრო, როდესაც მეროპის სამი-ოთხი სახელმ-  
 წიფო ერთმანერთს ეცილებოდა წინაობაში,  
 მაგრამ ეს დრო წაიდა, ახლა პოლიტიკურა  
 ასპარეზი გაიშალა. თქვენ მოგვხსენებთ, რომ  
 ამერიკა მეროპის პოლიტიკაში საჩინო როლს  
 იჭერს. იცით რა მოხდება ამ საუკუნის დამ-  
 დესსაო! მს დიდი დროა ადამიანის ცხოვრე-  
 ბაში, მაგრამ ხალხებისაში კი არაფერი. ამ  
 საუკუნის დასრულდამდის ორი დიდი სახელ-  
 მწიფო, რომელსაც ეყოლებათ თითოთ 100  
 მილიონი ხალხი. შრანციაში იმ დროს იქ-  
 ნება 40 მილიონი ხალხი, პრუსიაში 45  
 მილიონი და აესტრიაშიაც იქნება ამდენი  
 იყოს; მაგრამ რაკი შემდეგი მეოცე საუკუნე  
 დაიწყება ამერიკის შეერთებულ შტატებში  
 და რუსეთში იქნება თითოში 100 მილიონ-  
 ნი ხალხი. ამისთანა მომავალს რომ ხედავთ,  
 ნუ თუ არ დასთანხმდებით ამაზე, რომ წინა-  
 ობაზე ფიქრი არ არის კარგი არამც თუ რან-  
 ცისთვის, არც სხვა სახელმწიფოებისთვის რო-  
 გორც მაგალითად პრუსიისა, რომელსაც წინა-  
 ობა უნდა, და არც აესტრიისთვის არის კარ-  
 გი, რომელიც იმისთანა მდგომარეობაში არ  
 არის, რომ ესენი იფიქროს და თითქმის არ  
 სჯობია ანგლიისთვისაც, რომელსაც დიდ-ძა-  
 ლი ხალხი ჰყავს კალიონებში. ჩვენის ჰაზრით  
 ამ გარემოებაში უცნაური რამ არის შეჯიბ-  
 რება მეროპის სახელმწიფოებისა, შრანციისა  
 აესტრიისა, პრუსიისა და ანგლიისა. ამ სა-  
 ხელმწიფოებს შეშვენდა, რომ ერთმანერთ-  
 თან დაახლოვებულიყვნენ და დაევიწყებინათ  
 უკმაყოფილება და უთანხმოება, რომ ამ ორ  
 სახელმწიფოებს შუა არ მოჰყოლოდა ქვეშ  
 აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან რომ ემუ-  
 კრებინან. მანასადამე... აღვიარებ პირდაპირ  
 და სწორეთ, რომ თუ მეროპის სახელმწიფო-  
 ებს სიკეთე სურსთ, მშვიდობიანობას უნდა  
 ადგენენ, ისინი იმ მუქარებისა და შეშინებისა-  
 გან ხელს აიღებენ, რადგანაც ბოლო ისა აქვს  
 რომ დამარცხებელი სრულებით ძლიერი არ  
 არის დამარცხებულზე. მართის სიტყვით თა-  
 ვის გამოდების და სხვა სახელმწიფოების და-  
 მუქრების ნაცვლათ მშვიდობიანურს პოლი-  
 ტიკას რომ დაეადგეთ, ის გვიჩვენია. ამ შე-  
 მთხვევაში რასაც კი წინ დაუდებდით სხვებ-  
 სა, მაღლობით მიიღებდნენ, რადგანაც იციან,  
 რომ ჩვენ ომში საშიშარნი ვართ. შრანცი-  
 აში რომ იმპერია ფუძნდებოდა (1852 წ.), ნი-  
 შნათ ეს ამოიჩინა: იმპერია — მშვიდობიანო-  
 ბაოა“. ამ 1868 წელს ძალიან შესაფერი და  
 კეთილი იქნებოდა, რომ ეს მოგვეგონა და  
 ჯარის კანონის პროექტი უკან აგველო, ეს  
 კანონი მეტათ მიმეა ხალხისათვის, რომელ-  
 იც ხალხში დიდს მღელვარებას და შიშს აღ-  
 ვიძებს. მოწყალენო ხელმწიფენო, მშვიდო-  
 ბიანობასაც დიდ-მშვენიერობა არ აქლია! რა  
 მშვენიერ სახილველს წარმოგიდგენს ის ხა-  
 ლხი, რომელიც მეცნიერებაზე, სწავლაზე და  
 ხელოვნებაზე მოკლილი, შესჩვევია თავის-  
 უფლებასა და სახელ განთქმულია განათლე-  
 ბითა! რა მშვენიერი სახილველია, როდესაც  
 მოქალაქენი გარს ეხვევიან საყვარელი და პა-  
 ტიციემულის მეფის ტახტსა. მოწყალენო ხელ-  
 მწიფენო, ჩემს სიტყვას ვათავებ უმორჩილე-  
 სის თხოვნით, რომ რა სიტყვებიც მეორე იმ-  
 პერიამ ამოიჩინა ხელ მძღვენლათ, ის იჩინო-  
 თო. რაკი ამას აიღებთ თქვენის მოქმედების  
 ხელმძღვენლათ, თქვენ უფრო დაიცავთ  
 მეროპის საზოგადო მშვიდობიანობასა, ვი-  
 რემც იმ კანონითა, რომელსაც ომში გამო-  
 ცდილის კაცებისათვისაც კი ძნელ ჰაზროვანი  
 კანონიანია შემდეგ სამხედრო მინისტრმა მარ-  
 შალმა ნიელმა წარმოსთქვა სიტყვა: „უფალ-  
 ნო სენატორებო, ყველას შეუძლიან შესც-  
 დეს; მაგრამ იმისთანა შეცდომა მოხდება ხოლ-

მე, რომ ძალიან საფიქრებელია“; მასუკან წყნარა-  
 მიშელ შევალიეს“; თქვენ ამბობდით რომ ჩვენ  
 ტყვილათ დროსა გვარგარგავთო სამხედრო სი-  
 სხლის სამართლის კანონისა (როდესაც ამაზე  
 ლაპარაკობდნენ სენატში); შემდეგ თქვენა სთ-  
 ქეთ რომ ჯარების ყოლა დიდი უბედურობაა  
 ქვეყნისათვისაო და ჯარები მალე ქვეყანაზე გა-  
 წყდებო და მაშინ სამარადისო მშვიდობიან-  
 ობა დამყარდება! მაგრამ ვაი, რომ მას შე-  
 მდგ, რაც ეს სიტყვები წარმოსთქვა მიშელ  
 შევალიემ, რამდენიმე დიდი ომიანობა მოგვი-  
 ხდა: როგორც შრიმის ომი და იტალიის ომი.  
 შფალი მიშელ შევალიე თუ ნებას მიბოძებთ  
 ბატონებო, ვიტყვი რომ შესცდა მაშინ; შეი-  
 ძლება რომ მეორეთაცა სცდებოდეს (უწო-  
 ნებენ ძალიან კარგი). ღიან; ამ გვარი შეც-  
 დომა საშიშროა. თქვენ ამბობთ, რომ ჩვენ  
 მშვიდობიანათ გვეპყრობიანო ჩვენ გარემო  
 მყოფი სახელმწიფოები. საწმუნოთ იყავით,  
 რომ ჩვენდამო კეთილმდრეცილება ამ სახელ-  
 მწიფოებისა უკეთესად ვერასფრით ვერ დამ-  
 ყარდება, როგორც ამ ჩვენკან განსჯილ კა-  
 ნონითა (სიცილი და მოწონება). მხოლოდ  
 ამ სახით სრულიათ განმტკიცდება მშვიდო-  
 ბიანობა (მოწონება). შფალი მიშელ შევა-  
 ლიე გვარწმუნებს, რომ, თუ ვინიცობაა ომი  
 ასტყდაო, ძველის (1832 წ.) კანონის ძალით  
 შეიძლება ერთ დღეში მოვამზადოთ სამარაი  
 ძალი, რომელსაც ისურვებს ახალი კანონის  
 პროექტიო. ჯარის უეცრათ გაწყობა შეუძლე-  
 ბელია, თორემ სჯობდა, რომ სულ არა ყო-  
 ფილიყო. რაკი ამაში ვრწმუნდებით, ვეცადოთ  
 გაეწყოთ ჩვენი ჯარი ისე, რომ არც ჩვენს  
 ქვეყანას ამძიმებდეს და მკვიდრი მცველი  
 იყოს შიშიანობის დროს“. სამხედრო მინის-  
 ტრის სიტყვის გათავების შემდეგ ბევრმა მი-  
 ნისტრებმა მიულოცეს გამარჯვება. ბოლოს  
 რამდენსავე სენატორმა მოისურვა სიტყვის  
 წარმოთქმა, მაგრამ უმეტესმა ნაწილმა გადა-  
 სტრა, რომ ბაასი გათავედეს და ხმები მოაგრო-  
 ვონ. როგორც ზემოთ მოხსენებულია, ჯარის  
 კანონის პროექტი დაამტკიცა სენატმა.

— რესპუბლიკური პუბლიკაცია. პარი-  
 ჟიდგან იწერებინ 13 (25) იანვარს ძელნის  
 გაზეთში: „ღღეს ძალიან სიფრთხილეს შეუდ-  
 გნენ პარიჟში. პარიჟის გარნიზონის მთელი  
 ჯარი კაზარმებში შეჭრიდეს და ყარაულები  
 ერთი ორათ მოუმატეს ამის მიზეზი იყო პრო-  
 კლამაცია. ფიქსათ და მკვანეთ დაწერილი  
 მრთ გაზეთს. „როზა-ს“ (Etendard) შემთხვე-  
 ვია ამ პროკლამაციის (განცხადების, ხმა-ყო-  
 ფისა) წაკითხვა. მს გაზეთი ამბობს, რომ პა-  
 რიჟში დაიწყეს საიდუმლოთ ბეჭედა და ხალ-  
 ხში გაერცელება გაზეთისა, სახელათ რესპუ-  
 ბლიკა; შემოხსენებული პროკლამაცია დაბე-  
 ქდილია ამ გაზეთის პირველ ნომერში. ბა-  
 ზეთი იბეჭდება საიდუმლო აღმასრულებელის  
 კამიტეტისაგან, რომელიც იმ ჰაზრით დაფუძ-  
 ნებულა, რომ ესლანდელი მმართველობა გა-  
 დაადონ. პროკლამაციაში მოხსენებულია,  
 რომ საიდუმლო აღმასრულებელი კამიტეტი  
 დაფუძნდა და ყველა რესპუბლიკელებმა  
 თავი უნდა გამოიდანო, რომ 16 წლის (ეს-  
 ლანდელის ნაპოლეონის მეფობიდან) შრან-  
 ცის დამატეირთებელი უღელი მოიშორონ.  
 მოხსენებულია წ. თუ რა უნდა ჰქნან; ყველა,  
 რესპუბლიკელს მაგალითათ ბრუტი (\*) უნდა  
 ჰყვანდეს, დაეცეს მტარელებს, საცა უნდა შე-  
 ხედეს და წინააღმდეგობა გამოაჩინოს, რო-  
 დესაც მთავრობა უკანონოთ ირჯება. პროკ-  
 ლამაციაში აგრეთვე მოხსენებულია საიდუმ-  
 ლო მმართველობის პროგრამისა და ძველ  
 დროების პროკლამაციების პროგრამისა  
 ჰგავს. ახალი პროგრამა თაედება ამ სიტყვე-  
 ბით: „ზაუზარჯოს რესპუბლიკას!“ ღა არა ამ  
 სიტყვებით: „ზაუზარჯოს რესპუბლიკას, დე-  
 მოკრატულს და სოციალულს!“ თუმცა  
 „თავისუფლება, თანასწორობა და ძმობა.“

(\*) ბრუტმა რომში იმპერატორი სეზარი მოჰკლა

ქს პროკლამაცია საჩქაროთ იმპერატორს გაუზიარეს. მმართველობის მალალ საზოგადოებაში თუ რა დიდი მნიშვნელობა მისცეს ამას გვიმოტყეობს შემოსხენებული ჯარის შეკრება პარიჟში. შეველა ეს ერთიანად გეგმიერებს, რომ იმპერატორის მმართველობა თავის თავს საეკეო მდგომარეობაში ჰპოვებს. რაც უნდა იყოს მმართველობის საფრხე მდგომარეობა ისე არ არის, როგორცა ჰგონიათ.

ანგლია.

სათოლიკე მთავარ ეპისკოპოსმა ირლანდიისა, კარდინალმა კოლდენმა (როგორც სწერენ Ind. Belge-ში) გამოაცხადა მწყემსობრივი ეპისტოლე, რომელშიაც ირლანდიის ხალხის ჩივილი და უკმაყოფილება აღწერილია ისე მკაცრ-მკაცრითა, რომ უეჭველად ირლანდიელები აღელდებიან და ანგლიაში და შოტლანდიაში ვინც კი ირლანდიელების მომხრენი არიან, საწყენათ მიიღებენ. მოკლად უსამღვდელოესი კოლდენი ირლანდიელებს ეუბნება: „თქვენი ქვეყანა უკანასკნელ სიღარიბეში ჩაუგდიათ; შრანციის, აესტრიის და ისპანიის არც ერთ ქალაქში კაცი ვერა ნახავს ამისთანა საშინელ სიღარიბესა, როგორც ლუბლინშია (ირლანდიის თავი ქალაქია). სამ მილიონზე მეტი ირლანდიელი ძალდატანებული იყო ამერიკაში გადასახლებულიყო. 400,000 სახიზრო (კოტტეჯი) სადგომი ღარიბებისა, ძირიანთ ამოსხარეს, რომ იქ მცხოვრებლებსა ღონის ძიება აღარა ჰქონოდათ თავი შეეფარებინათ სადმე; მრავალი სოფლები ერთიანად დააკციეს.“

რუსალეთი.

დღეისთვის მდგომარეობა რუსალეთისა. Ind. Belge-ში იანვრის 4-დან სწერენ ტელეგრაფისა, რომლითაც გეტყობინებენ; ქანდიამ ამგები მოდისო კანდილების საქმის დაბოლოებაზედ და იწერებენ, რომ კანდილები მრავალნი თავს უკვრენ რუსალეთსა და მალე დიდი ვეზირი ქანდიდგან ქონსტანტინოპოლს დაბრუნდება. ბოლოს შემოსხენებული გაზეთი ამას ამბობს: „ქანდია თითქოს დანიშნულია პოლიტიკაში და ომში გათქმული კაცების მოღვაწეობის ასპარეზოთა. რუსალეთში თავისი სახელოვნება იქ დაიწახა. მისი-ფაშა ფლოტის უფროსი სამსახურიდან გადააყენეს, რადგანაც აღმოჩნდა, რომ რიგანათ ქანდიის კუნძულის არ შემოარტყა სამარო გემები. მთხი თვის ყოფნის შემდეგ ქანდიაში დიდი გემები ისევ კონსტანტინოპოლში ბრუნდება, რადგანაც ვერა მოახერხა. ქანდია არის და იქნება დიდხანს ინსურგენტების (თარეშების) ადგილი, რომელიც ეშუქრება რუსალეთს, რომ იმ სხვა მარტებიც ააღელვოს. მანამდის რუსალეთი თავის საბძანებელ მარტებში ცვლილებაზედ მოახდენდეს, ჯერ თვითონ უნდა შეიცვალოს, და ეს კი ყველაზედ ძნელი ყოფილა. რუსალეთის მმართველობა ყოველდღე წყნებას სცდის, მაგრამ იმის პოლიტიკაში არავითარი საფუძველი და აზრი არ არის. აი ამ მიზეზით ისა რჩება ყოველთვის შერაობის მწველობისა და მმართველი. ამ გვარამ მდგომარეობამ შემდეგ დროებში უეჭველად შიშინება უნდა დაჰბადოს.

ტელეგრაფები.

ტიფლისში მიღებული.

პეტერბურგი, 12 თებერვალს.

ვაშინგტონის დეპუტატთ პალატამ განსაზღვრა, რომ ხმები შეკრიბონ 12 თებერვალს კამისიის მოხსენებაზე, რომლის საფუძველითაც პრეზიდენტი ჯონსონი სამართალში უნდა მიეცეს.

რუსის ესკადრის უფროსმა მოკითხა დიდ ვეზირს თათრული გაზეთებისაგან მოყენილ კორებზედ, რომ ვითომ რუსის ესკადრა კანდიელების ადგომას ეწეოდა. ამზედ დიდმა ვეზირმა უპასუხა, რომ რუსის ესკადრას ვერას შესწამებენ და გაზეთებს კი სამდურავი უთხრესო.

პეტერბურგი, 12 თებერვალს.

მართა გაზეთმა Courier d Orient-მა გაამტყუნა ის თქმულობა, რომ ვითომც რუსალეთი ქანდიას თვით მმართველობას აძლევს.

ვაშინგტონიდან გეტყობინებენ, რომ პრეზიდენტმა ჯონსონმა ხელომერეთ სტენტონი გადაყენა სამხედრო მინისტრის თანამდებობისაგან. სენატმა მოიწონა გადაწყვეტილება, რომლითაც პრეზიდენტს უფლება არა აქვს სტენტონის თანამდებობიდან გადაყენებისა. წარმომადგენელთ პალატამ მიიღო წინადადება, რომ პრეზიდენტი სტენტონის გადაყენებისა გამო სამართალში მისცენ.

დიდ-მარხვის შემსუშუპება კათოლიკეებისათვის.

ამ კვირას ტიფლისის კათოლიკე (ფრანგების) საყდარში ეპისკოპოსის განცხადება იყო, და ესეც კედელზე აკრია ქართულად ნათარგმნი, დიდ-მარხვის შენახვზე, რომელსაც ქვემოთ წაითხებენ მკითხველები. ამ განცხადების ძალით კათოლიკე (ფრანგებს) ნება აქვთ მთელ დიდ-მარხვაში რძეულით გაიხსნიდონ და კვირაში ოთხი დღე ხორცეულითა პირველსა და უკანასკნელ კვირებს გარდა. მაგრამ, როგორც შეხებეთ, აქაური კათოლიკე უკმაყოფილოთ დარჩენილან ამაზე, მამაპის ჩვეულება არ უნდა გადავადგოთ. ადრეც (ამ ოცის თუ ოცდა ათის წლის წინათ) ასე უკმაყოფილება გამოუჩენიათ, როდესაც ბრძანება მოსულიათ თავის უმალეს სამღვდელოთაგან, რომ დიდ მარხვის შენახვა ოთხ შაბათიდან დაიწყონ და არა ორშაბათიდან. პირველ ხანებში ორშაბათ და სამშაბათს დიდ-მარხვისას არავინ არა სჭამდა. ამ ჟამათ ამ დღებში მარხვას აღარავინ არ ინახავს. ისეც ისე ლაპარაკობენ; ის კი არ ესმით, რომ შრისთვის სარწმუნოების საფუძველი მართა მარხვაზე არა კვირია; მერითმა იცის რამდენი სუსტის აგებულების კაცი და ავთამყოფი მარხვის შენახვის დაქინებისაგან მოამკვდარა და რამდენი ჯანია დასუსტებულა და დასწულებულა! ამისთან ის უნდა ესთქეთ, რომ რამდენიც კაცს ჯანი მრთელი ქვს, იმდენათ სული ძრეილა. ამაზე ერთი ძველი ლათინური ანდაზა: in corpore sano mens sana, ღონიერს გავში ღონიერი სულიაო. მსეც უნდა დაეუმატათ, რომ შერაობაში კათოლიკეთ დიდი ხანია მარხვის ჰამის ნება აქვთ. აი თითონ განცხადება:

- ზანცხადება დიდ-მარხვისათვის. მისაც ძნელათ უჩანს დიდ-მარხვის შენახვა, ჩვენ (კათოლიკეთ) ეპარხიის უფალმა ეპისკოპოსმა მისკიმ გვიბოძა ნება ამ სახით დიდ-მარხვის შენახვისა. 1) მრთელს დიდ-მარხვაში არის მარხულობა. 2) პირველი და უკანასკნელი კვირა დიდ-მარხვისა არის წმინდა მარხვა. 3) დიდ-მარხვის პირველი კვირადიდან დაწყებული, ვიდრე ზზობის კვირადემდის ნება დავრთვის რძეულის მიღებისა. 4) პირველის კვირადიდან დაწყებული ვიდრე ზზობის კვირამდის ხუთს კვირას ორშაბათობით, სამშაბათობით და ზუთშაბათობით მარტო საღილათ დღეში ერთ გზის შეიძლება ხორცეული ჰამა და კვირადღეობით-ორ გზის. 5) მხოლოთ ამ ხორცეულის მიღების დროს არ შეუძლიანთ თევზიც თან მიიღონ. 6) ამ ნების მოკემისათვის ვალდებულნი არიან მოაწმუნენი, რათა ილოცონ წმიდა ეკკლესიის აზრზედა და მოიღონ მოწყალება გაჭირებულთადმი.

სახაზრო განცხადება.

ქავკასიის სამხედრო მარხვის საინჟინერო სამმართველო მოუწოდებს იმათ, ვისაც ჰსურს იჯარით ერთ-ბაშათ აიღოს შემდეგი მუშაობა: 1) შერვის უზახის N 1 პოლკის უმთავრეს ადგილ-სადგომში (შტაბ-კვარტირაში), შეტკოპის სამანთან (ლენკორანის უხედში) ა., ოთხი სადგომის გაკეთება—ორი კამანდირისა და ამ პოლკის აფიცრებისთვის, 1323 მან. და 12 კაბ. და ორი 140 უახსისათვის 1615 მან. და 18 კაბ., ბუდელის აშენება ქერის ჩასაყრელათ 666

მანეთ. 14 კაბ. და ფხის ადგილის განაკეთებლათ N 4 კახარასთან 1011 მან. 65 1/2 კაბ. და 2) ლენკორანში: ორი ცეხი-გაუზის გადაკეთება ქავკასიის ღონის N 21 ბატალიონის ლაზარეთთან: ერთი N 16, სადაც უნდა იყუფებოდეს აბანო და სარეცის ადგილი, 1047 მან. 45 1/4 კაბ. მეორე N 14 სამზარეულოსთვის—793 მანეთათ და 46 1/4 კაპეიკათ. სულ გარდა იმ ფასისა, რომლათაც პორციონი და მატერიალები ღირს, 6467 მან. 1 კაბ.

შპრობა მოხდება ტიფლისში, სამაზრო საინჟინერო სამმართველოში 1868 წელს, 23 თებერვალს. ზანცხადების გავსება დაბეჭდვის პაკეთშიაც შეიძლება. ამ იჯარის დაწერილობითი პირობანი და აგრეთვე დამტკიცებული სმეტები შეუძლიანთ იხილონ ყოველ დღე სამაზრო საინჟინერო სამმართველოში დილის ცხრა საათიდან ნაშუადღის ორს საათამდე.

ქავკასიის აპმთა მხარის სამხედრო მარხვის საინტენდანტო სამმართველო მოუწოდებს იმათ, ვისაც ჰსურს ხელ-ახლა აშენება, გასწორება და გადაკეთება ბანაკისა ტიფლისის საინტენდანტო საწყობისათვის 1868 წლის 15 აპრილიდან. აი უმთავრესი პირობები: გამოჭრა და შეკრვა ახლისა და გასწორება და გადაკეთება ძველი ლაგერისა. იჯარადარბა სამხედრო მატერიალები უნდა იხზაროს იმდენი, რამდენსაც საინტენდანტო სამმართველო დანიშნავს; მუშაც და ძაფიც თვისი უნდა იყოს და არც სამუშაო სადგომი უნდა მოსახოგოს ხაზინას. ამას გარდა თვითონ იჯარადარბს სხვა წვირილმანი მასალებიც უნდა ჰქონდეს, მაგალითად: იუხტის ტყავი, თითისტრები და წვირილი ბაჭრები; ხაზინა კი მხოლოდ ამ მატერიალებს მისცემს: აურის ქსელსა (фламское полотно), მსხვილს ტილოსა, მწვანე განიერს ტილოსა და ზონარსა.

ამას გარდა, როგორც საინტენდანტო მოითხოვს, იჯარადარბა ფსათ უნდა მოამზადოს ბანაკის კუთვნილება, სახელობა: ნაწვერვალები (верхушки), კუთხის სარები და დასაკეცი, რკინის ჩანგლები ბაჭრებზე მოსაბმელი, დასასობი და კუთხის სარები, ჯამები, დათლილი შიშვები დიდი და პატარა პალაოები; ეს ავეჯულობა იმისთანა, როგორსაც ეცტვიან, ზოგი რკინის რკინებითა, ზოგი მწვანეთ უნდა იყოს შედებული. ბანაკის რიცხვი და იმის ავეჯულობა, რამდენიც საჭიროა, აღნიშნულია აქვე დაბეჭდვის უწყებაში. მითი, ორი, სამი და ოთხის წლის ვადაც შეიძლება დაიღოს ბანაკის აშენებაზე, გასწორებაზე და გადაკეთებაზე, თუ კი რომ ვაჭრობაში რიგანი ფასი აღმოჩნდება. პანტრახტის ვადის გასვლამდის რამდენიც საჭიროა, იმდენი უნდა აშენდეს და გაკეთდეს. გადაწყვეტილი ვაჭრობა უნდა მოხდეს ქავკასიის საინტენდანტო სამმართველოში ამ წლის 28 თებერვალს. ქავკასიის საინტენდანტოე იქნება დამოკიდებული ამ ვაჭრობის დამტკიცება.

მისაც ჰსურს ვაჭრობა, ის მოვალეა შეხვიდეს მთხრემეტაშორანს ქალაქზე დასწეროს მოწოდება და იქვე მიაკეროს დოკუმენტები თავის ენაობაზე, აგრეთვე გიროპობია პირობის შეუსრულებლობისთვის 100 მანეთზე თხუთმეტი პროცენტი იმ ფასში, რამდენათაც ეღირება ხელ-ახლა აშენება, გასწორება, გადაკეთება და კარგების და ავეჯების გაკეთება.

დაბეჭდული პაკეტი უნდა გამოგზავნონ ვაჭრობის დღეს 11 საათამდის. იმაზე გვიან აღარ მიიღებენ. სასამართლო სჯულთა (გამოცემულთა 1857 წ.) X ტომის 1909 მუხლ. საბუთით შემოსხენებულს განცხადებებში უნდა იყოს: 1) თანხმობა იჯარის აღებაზე დადებულის პირობებითა შეუცვლელათ; 2) ფასი დაწერილი ასოებითა; ფასებში გარდა მხოთხედისა, მერყევისა და მეფექსმეტდესისა, სხვა ზომის ნაწილები არ უნდა იყოს; და 3) გამოცხადებულის ადგილ-სადგომი, სახელი და გვარი, აგრეთვე თქველა თვის რიცხვი. ბამოცხადებთან უნდა იყოს მიკერებული დოკუმენტები იჯარადარბის ენაობაზე და გიროპობია.

უწყებო ბანაკისა და ავეჯთა, რომელნიც უნდა მომზადდეს ტიფლისის საინტენდანტო დასაწყობელში.

ბანაკის ავეჯულობის და ნივთების რიცხვის დასახელება. ატიცრის კარგებთან ხელ-ახლა უნდა აშენდეს.

პარების კალთები 87, და კარგების ფესვები 87, პატარა სახლები 87 და მათთან კალთები 87.

სალაზარეთო კარგებთან: პარების კალთები 10, მაუდის კალთები 10, რავენტუხის კალთები 10, მაუდის კალთები 10, სალდათის კარგები 188.

ატიცრის და სალდათების კარგების ავეჯულობა:

ნაწვერვალები 82, დასაკეცი ხები 312, ბაჭრებ მობმული ჩანგლები 300, დასასობი სარები 86, კუთხის სარები 700, ხის თევზები 700, პალოები 700, პატარა რიგები 9, 134, მიშვები 252.

ატიცრის კარგებში დიდათ უნდა გასწორდეს:

პარების კალთები 20, მეორე რიგის კალთები 20, სახლები 20, იქვე კალთები 20.

პარგები:

სალდათისა 40, სალაზარეთო: 10

პატარათ უნდა შესწორდეს: კარგების კალთები 25, იქვე კალთები 25, სახლნი 25, იქვე კალთები 25, სალდათის კარგები 30, სალაზარეთო 10.

ზოგიერთი ატიცრის კარგები უნდა გადაკეთდეს:

პარების კალთები 5, იქვე კალთები 5, სახლნი 5, იქვე კალთები 5.

სალაზარეთო კარგებში:

რავენტუხის კალთები 4, იქვე ფესვები 4, მაუდის კალთები 4, იქვე ფესვები 4.

პროგრამა

სასოფლო გაზეთისა

„სასოფლო გაზეთში“ იქნება შემდეგი ნაწილები.

I რედაქციის ნაწილი: მთავრობის განკარგულება, რომელიც განსაკუთრებით შეეხება სასოფლო სამმართველოთა.

- ა) მანკარგულებანი, რომელნიც სასოფლო სამმართველოთა უნდა მოიყვანონ ასრულებში. ბ) მანკარგულებანი, რომელნიც უნდა ეუწყოს სასოფლო სამმართველოთა, რომ ისინი გახდნენ იმათ ხელსამძღვანელოთ.

II. არა-ოფიციალური ნაწილი:

- 1. სამეურნეო ცნობანი: ამ ნაწილში დაიბეჭდება იმისთანა სტატიები, რომელნიც შეეხება სხვადასხვა სამეურნეო ნაწილსა, მაგალითად: მიწის მუშაობას, ბოსტნის კეთებას, ღვინის მოყვანას, პირუტყვის მწენებას და სხვ.; სასოფლო ვაჭრობის, ალბ-მიცემობის და ოჯახობის მაჩვენებელი სტატიები. 2. სახალხო მედიცინა (მკურნალობა): აქ დაიბეჭდება ისეთი სტატიები, რომელნიც იქნება დარჩება, თუ როგორ უნდა იცხოვროს ხალხმა, რომ სიმრთელით იყოს, აგრეთვე იქნება ნაჩვენები ისეთი ექიმობა სხვა და სხვა ავთამყოფობაზე, რომ თვითონ ხალხსაც უმკურნალოთ შეეძლოს ზოგიერთ ავთამყოფობის მორჩენა. 3. ამავე სასოფლო ხალხის ცხოვრებაზე: აქ დაიბეჭდება ამგები, თუ როგორ მიდის სასოფლო გამგობა ჩვენს ქვეყანაში, სახალხო შკოლებზე, პურის მაღაზიებზე, ბანკებზე, აგრეთვე კორესპონდენტები, და მოთხრობა სოფლის ხალხის ცხოვრებიდან. 4. სხვა და სხვა ცნობა: წვირილმანი ხალხის გასაგებნი სწავლანი, რომელსაც ეძინება მხოლოდ ის განზრახვა, რომ ხალხს ამაოდ-მოაწმუნება და ცდიდ ჩვეულება მოაშლევინოს. 5. სახაზინო და კერძობითი განცხადება. სასოფლო გაზეთი გამოვა კვირაში ერთხელ და შეიცავს ერთ სტამბის თაბას. რედაქციის ნაწილი იქნება რუსულად და ქართულად. მასი ერთი წლისა გაუზიარებლათ 6 მან. გაგზავნიით 7 მანეთი.

რედაქტორი და გამომცემელი ბ. წერეთელი.